

**საარჩევნო ადმინისტრაციების წარმომადგენელთა მესამე ყოველწლიური
შეხვედრის ანგარიში
20-22 თებერვალი, 2013 წელი
თბილისი, საქართველო
დოქტორი მაიკლ ბრუტერი და დოქტორი სარა ჰარისონი**

2013 წლის 20-22 თებერვალს საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ბატონი ზურაბ ხარატიშვილის ხელმძღვანელობით თბილისში ორდღიან კონფერენციას უმასპინძლა. ყოველწლიურ კონფერენციაში როგორც აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიის რეგიონისა და ცენტრალური აზიის, ისე წამყვანი საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა. შეხვედრას პირველად ესწრებოდნენ ისრაელის, ნეპალის და ინდონეზიის საარჩევნო ადმინისტრაციების წარმომადგენლები. კონფერენცია ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საპარლამენტო სწავლებების საერთაშორისო ცენტრთან თანამშრომლობით (ICPS) გამართა.

კონფერენციის მონაწილეების მიერ წარმოდგენილი პრეზენტაციები წლის ყველაზე აქტუალურ თემას, ”კონფლიქტების მართვა საარჩევნო პროცესებში”, უკავშირდებოდა. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა სიახლეებს შორის განიხილებოდა მოქალაქეთა ჩართულობა საარჩევნო პროცესებში, კონფლიქტებთან დაკავშირებული საკითხები, ასევე საარჩევნო ფსიქოლოგია და ერგონომიკა.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საარჩევნო ადმინისტრაციების წარმომადგენლებმა დამსწრე საზოგადოებას გააცნეს საექსპერტო ხედვები საკუთარი საარჩევნო პრაქტიკიდან გამომდინარე, წარმოადგინეს ინფორმაცია და რეკომენდაციები თუ როგორ უნდა მართო კონფლიქტები, მოახდინო პრობლემების მინიმალიზაცია. კონფერენციაზე წარმოდგენილ პრეზენტაციებში ხაზგასმით აღინიშნა საუკეთესო პრაქტიკის მეთოდები, მონაწილეებმა ასევე ისაუბრეს საერთო პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე.

კონფერენციის იმ მონაწილეთა გარდა, რომლებიც უშუალოდ ჩართული არიან არჩევნების ორგანიზებაში, პრეზენტაციები წარმოადგინეს საარჩევნო

ფსიქოლოგიის საერთაშორისო ცენტრის (ICEP) წამყვანმა ექსპერტებმა. მათ წარმოადგინეს დემოკრატიულ არჩევნებზე ჩატარებული ბოლო რამდენიმე კვლევის შედეგი. კვლევის მიგნებები ცხადყოფს, რომ ამომრჩეველს წამყვანი როლი აკისრია არჩევნებისას. მათი ძირითადი მიმართულება საარჩევნო ერგონომიკაში ფოკუსირებული იყო იმაზე თუ როგორ შეიძლება განსხვავებებმა საარჩევნო წესებსა და პროცესებში გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინოს მოქალაქის აღქმაზე საარჩევნო პროცესის მიმართ და რაც ყველაზე მთავარია - მათ საარჩევნო ქცევაზე.

საარჩევნო ფსიქოლოგიის კვლევა უღრმავდება ამომრჩეველთა აზროვნებას, თუ რას ფიქრობს ამომრჩეველი ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში, როდესაც აკეთებს საკუთარ არჩევანს საარჩევნო ბიულეტენის, ელექტრონული მანქანის, ინტერნეტის საშუალებით სახლიდან თუ საზღვრებს გარეთ, იქნება ეს არჩევნების დღე თუ არა. მათი კვლევა საარჩევნო ფსიქოლოგიის შესახებ გვაწვდის უპრეცედენტო ხედვებს ამომრჩეველთა ემოციების შესახებ, კენჭისყრის პროცესთან დაკავშირებით. კვლევაში ასახულია, თუ რა გავლენას ახდენს ემოციები მოქალაქეებზე, მათ ნდობაზე, მოტივაციაზე, ქმედებებზე და დემოკრატიულ პროცესებზე.

ამომრჩეველთა მიერ გაკეთებული არჩევანის ანალიზი ეხმარება გადაწყვეტილების მიმღებ პირებს არჩევნები გახადონ შეძლებისდაგვარად ეფექტური, გამჭვირვალე და სანდო, შეამცირონ კონფლიქტთან დაკავშირებული რისკები და გამოწვევები.

მეცნიერ-ექსპერტებმა კონფერენციაზე მაგალითისათვის ისტორიული ფაქტები მოიყვანეს არჩევნებისას არსებული ძალადობის შესახებ და ისაუბრეს იმ უპირატესობებზე და რისკებზე, რომელიც თან ახლავს ელექტრონული ხმის მიცემის პროცედურას და დიდი ალბათობით თავს იჩენს არჩევნების შემდგომ პერიოდში.

კონფერენციაზე აგრეთვე წარმოდგენილ იქნა პრეზენტაციები რამდენიმე წამყვანი კომპანიის (Smartmatic, Cross Match Technologies, Dominion Voting Systems, ScytI and Gilat Satellite Networks) მიერ, რომლებიც ელექტრონული ტექნოლოგიებითა და ბიომეტრიული იდენტიფიკაციის მოწყობილობებით მომარაგებას უზრუნველყოფენ. მათ დეტალურად აუხსნეს დამსწრე საზოგადოებას თუ როგორ გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები და როგორ შეიძლება მათი დანერგვა საარჩევნო პროცესებში.

გამომდინარე იქიდან, რომ საარჩევნო ადმინისტრაციები მუდმივად ეძებენ გზებს საარჩევნო პროცესების დახვეწის და გაუმჯობესების მიზნით, ეძებენ საშუალებებს მათი უსაფრთხო და მარტივი წესებით გამოყენებისათვის, ტექნოლოგიების საარჩევნო პროცესებში ჩართვა განიხილება, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პერსპექტივა.